წითელი პლანეტა

გაინტერესებს კოსმოსი, პლანეტები, ვარსკვლავები?.. თუ ასეა, ეს ტექსტი შენთვის ძალიან საინტერესო იქნება.

ალბათ, უკვე იცი, რომელია მზის სისტემის პლანეტები. ერთ მათგანს წითელ პლანეტას ეძახიან. ეს მარსია. მას რომაული მითების ერთ-ერთი მთავარი ღმერთის სახელი ჰქვია.

რატომ არის მარსი წითელი? როგორც გაირკვა, მის ზედაპირზე ბევრია რკინის ჟანგი. ამიტომ აქვს მარსს წითელი ფერი.

მარსი ძალიან ცივი პლანეტაა. მისი ორივე პოლუსი ყინულით არის დაფარული. ჩრდილოეთ პოლუსზე ყინულის სისქე 3 კმ-ია. სამხრეთ პოლუსზე კი ყინული უფრო სქელია. ყინვის გამო ახლა მარსზე თხევადი წყალი არ არის. თუმცა ადრე აქ მდინარეები იყო. ისინი მილიარდი წლის წინ დაშრა. მარსზე რამდენიმე **მოქმედი** ვულკანიც იყო. ჩაქრობის შემდეგ მათ ადგილას **უზარმაზარი** ვულკანური მთები დარჩა. მათ შორის არის ოლიმპუს მონსი. იგი ყველაზე დიდი ვულკანური მთაა არა მარტო მარსზე, არამედ მთელ მზის სისტემაში. მისი სიმაღლე 25 კმ-ია.

მარსზე ხშირად არის ძლიერი ქარი. ამ დროს საშინელი მტვერია.

დიდი ხნის განმავლობაში ადამიანებს ეგონათ, რომ მარსზე სიცოცხლე არსებობდა. მაგრამ დღეს იციან, რომ ეს შეუძლებელია, რადგან პლანეტაზე თხევადი წყალი არ არის.

მეცნიერები სწავლობენ წითელ პლანეტას. მარსზე ახლა რამდენიმე კოსმოსური აპარატი მუშაობს. ისინი მარსიდან დედამიწაზე გზავნიან სურათებს. მეცნიერები სწორედ ამ მასალას ეცნობიან.

რა კითხვები გაგიჩნდა ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ?

დონე: B გამართული, **კომპონენტი:** მიზე ზი და შედეგი

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რა არის მარსის მეორე სახელი?

ა) უდიდესი პლანეტა.
ბ) ცივი პლანეტა.
გ) წითელი პლანეტა.

2 თხევადი წყალი მარსზე არ არის:

ა) მაღალი მთების გამო.
ბ) მოქმედი ვულკანის გამო.
გ) ძლიერი ყინვის გამო.

3 რატომ არის მარსზე უზარმაზარი მთები?

ა) ისინი ვულკანის ჩაქრობის შემდეგ გაჩნდა.
ბ) ისინი ძლიერი ქარების დროს გაჩნდა.
გ) ისინი ძლიერი ყინვის გამო გაჩნდა.

4 რის შესახებ <u>არ არის</u> საუბარი ტექსტში?

ა) რატომ არ არის მარსზე სიცოცხლე.
ბ) რატომ გაჩნდა მარსზე უზარმაზარი მთები.
გ) რატომ ჩაქრა მარსზე მოქმედი ვულკანები.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. მარსზე რამდენიმე **მოქმედი** ვულკანიც იყო.
   ა) აქტიური. ბ) დიდი. გ) საშიში.

2. ვულკანის ადგილას **უზარმაზარი** მთები დარჩა.
   ა) ძალიან დიდი. ბ) ძალიან ლამაზი. გ) ძალიან უცნაური.

2 სწორად დააკავშირე სიტყვები ხაზებით.

ყინულის	სიმაღლე
მზის	სისქე
მთის	სისტემა

3 სწორად შეარჩიე წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები.

რადგან	**თუმცა**	**რომ**	**არამედ**

1. ახლა მარსზე წყალი არ არის, ---------- ადრე აქ მდინარეები იყო.
2. ოლიმპუს მონსი ყველაზე დიდი ვულკანური მთაა არა მარტო მარსზე,

   ---------- მთელ მზის სისტემაში.
3. დიდი ხნის განმავლობაში ადამიანებს ეგონათ, ---------- მარსზე სიცოცხლე არსებობდა.
4. მარსზე ცოცხალი არსება ვერ გაძლებს, ---------- პლანეტაზე თხევადი წყალი არ არის.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

---------- წითელი პლანეტაც ჰქვია.

ა) მარსი. ბ) მარსმა. გ) მარსს.

2 შეარჩიე სწორი ფორმები.

1. მდინარე ---------- წლის წინ დაშრა. ***(მილიარდ/მილიარდი)***
2. ---------- პოლუსზე ყინული უფრო სქელია. ***(სამხრეთი/სამხრეთ)***

გრამატიკა

3 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა.

კოსმოსური აპარატები **<u>მარსი...</u>** დედამიწაზე გზავნიან სურათებს.

4 დაწერე სიტყვები მრავლობითი რიცხვის ფორმით.

ნიმუში: მთა – მთები.

1. მითი – ----------.
2. მდინარე – ----------.
2. პლანეტა – ----------.
3. სურათი – ----------.

5 რომელი არ არის სწორი?

ა) ალბათ. ბ) ყინულით. გ) ხშირათ.

წერა

1 ამოიწერე ტექსტიდან ინფორმაცია მარსის შესახებ.



2 წარმოიდგინე, როგორი იქნებოდა მარსი მილიარდი წლის წინ (მდინარეების დაშრობამდე). აღწერე იგი.